დანართი N1

გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს

დებულება

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს მიზანია გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ჩართული იქნას სამოქალაქო ინიციატივები, მომავალი გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები და მიეცეს ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა თვითონ შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში , დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული პროექტები.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.დებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს - „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ (შემდგომში საბჭოს) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 7 წევრი და საბჭოს მდივანი.

3.საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ფუნქციებია:

ა) გორის მუნიციპალიტეტის მერს გაუწიოს კონსულტაცია მომდევნო წელს სამოქალაქო ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების საერთო ბიუჯეტის, თემატიკის, ტერიტორიის (ზონებს/უბნებს/ადმინისტრაციულ/ტერიტორიულ ერთეულებს), დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის და თითოეული პროექტის დაფინანსების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის, დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის ფორმებსა და ვადების, სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების ეტაპების ვადების შესახებ.

ბ)განიხილოს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განაცხადები და გამოავლინოს მოწონებული პროექტი/პროექტები.

გ) საჭიროების შემთხვევაში განიხილიოს ალტერნატიული პროექტი.

დ) განახორციელოს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილებთ დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესით “ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ფუნქციები

ე) გორის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით შეასრულოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხები.

2. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო ინიციატივებს გათვალისწინებულ ვადებში საბჭოს განხილვის მიზნით წარუდგენს გორის მუნიციპალიტეტის მერი ან/და სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარი კოორდინატორი , რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერი.

3. საბჭო წარმოდგენილ საპროექტო ინიციატივებს განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამართლებრივი შესაბამისობა (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი)

ბ) ტექნიკური შესაბამისობა (ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა პროექტის განხორციელება)

გ) ფინანსური შესაბამისობა (წარმოდგენილი პროექტების სავარაუდო ღირებულების შეფასება, განხორციელების შესაძლებლობა)

დ) პროექტის განხორციელების ვადები (პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობის ფარგლებში)

ე) პროექტის საჭიროება და საზოგადოებრივი ინტერესი (ემსახურება თუ არა პროექტი საზოგადოებრივ ინტერესს, წარმოდგენილი პროექტის აქტუალობა მოსახლეობისათვის)

4. საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად მოწონებული პროექტის/პროექტების თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს რეკომენდაცია .

5. საბჭო, საპროექტო ინიციატივების წარდგენის ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს საპროექტო ინიციატივებს და მოწონებულ პროექტებს აწვდის პროგრამის მთავარ კოორდინატორს.

6. საპროექტო ინიციატივა, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გამოირიცხება და მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად, რაც დაუყონებლივ ეცნობება იდეის ავტორს წერილობითი სახით.

7.საპროექტო ინიციატივების ტექნიკური ანალიზის პროცესში საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს საპროექტო იდებიის ფინანსური და ტექნიკური მხარის ცვლილება, ასევე მსგავსი პროექტების კომბინირება.

8. საბჭოს შემდგომ შეკრებაზე ხორციელდება იდეების საბოლოო ანალიზი, რომლის შედეგად საბჭო გამოავლენს განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. ყოველი საპროექტო ინიციატივაზე ტარდება კენჭისყრა და დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ხმა.

9. საბჭო უფლებამოსილია, საპროექტო ინიციატივის განხილვისას საჭიროების შემთხვევაში გაესაუბროს პროექტის ავტორს.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1.საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საბჭოს მუშაობას.

ბ) იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს.

გ)საჭიროების შემთხვევაში , სათათბირო ხმის უფლებით იწვევს სპეციალისტებს.

დ) ახორციელებს საბჭოს საქმიანობიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებებს.

3.საბჭოს თავმჯდომარეს ყავს მოადგილე, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.

4. საბჭოს საქმიანობის საორგანიზაციო საქმიანობას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი.

5. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით რომელსაც ხელს აწერს საბჭოს ყველა დამსწრე წევრი.

6.საბჭო იკრიბება არსებული საჭიროებისას , მაგრამ არანაკლებ ორჯერ კალენდარული წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარის ან/და საბჭოს წევრთა 1/3 -ის მოთხოვნით.

7. საბჭოს სხდომები არის საჯარო . სხდომის გამართვამდე 3 დღით ადრე საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოიკვრება გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, ასევე ქვეყნდება გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქ გვერდზე .

8. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

9. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება

1.საბჭო ანგარიშვალდებულია გორის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.